საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1422 2023 წლის 7 აგვისტო ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს

გამოუყოს არა უმეტეს 62 161 000 (სამოცდაორი მილიონ ას სამოცდაერთი ათასი) ლარისა, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 150 000 (ხუთი მილიონ ას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 200 000 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარისა;

გ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 071 000 (ორი მილიონ სამოცდათერთმეტი ათასი) ლარისა;

დ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 665 000 (ორი მილიონ ექვსას სამოცდახუთი ათასი) ლარისა;

ე) სენაკის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 680 000 (ოთხი მილიონ ექვსას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ვ) სამტრედიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 060 000 (ორი მილიონ სამოცი ათასი) ლარისა;

ზ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 170 000 (სამი მილიონ ას სამოცდაათი ათასი) ლარისა;

თ) ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 250 000 (ერთი მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 070 000 (ხუთი მილიონ სამოცდაათი ათასი) ლარისა;

კ) აბაშის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 610 000 (ერთი მილიონ ექვსას ათი ათასი) ლარისა;

ლ) ვანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 950 000 (ცხრაას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

მ) მესტიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 600 000 (ერთი მილიონ ექვსასი ათასი) ლარისა;

ნ) ლენტეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 670 000 (ერთი მილიონ ექვსას სამოცდაათი ათასი) ლარისა;

ო) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 830 000 (რვაას ოცდაათი ათასი) ლარისა;

პ) ბაღდათის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 685 000 (ექვსას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარისა;

ჟ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 625 000 (ორი მილიონ ექვსას ოცდახუთი ათასი) ლარისა;

რ) ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 525 000 (ხუთას ოცდახუთი ათასი) ლარისა;

ს) ხონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 455 000 (ოთხას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ტ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 860 000 (რვაას სამოცი ათასი) ლარისა;

უ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 455 000 (ერთი მილიონ ოთხას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ფ) ხობის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 725 000 (შვიდას ოცდახუთი ათასი) ლარისა;

ქ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 340 000 (სამას ორმოცი ათასი) ლარისა;

ღ) მარტვილის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 105 000 (ორი მილიონ ას ხუთი ათასი) ლარისა;

ყ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 530 000 (ერთი მილიონ ხუთას ოცდაათი ათასი) ლარისა;

შ) ონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 970 000 (ცხრაას სამოცდაათი ათასი) ლარისა;

ჩ) დუშეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 100 000 (სამი მილიონ ასი ათასი) ლარისა;

ც) მცხეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 900 000 (ორი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარისა;

ძ) თიანეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 400 000 (ერთი მილიონ ოთხასი ათასი) ლარისა;

წ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 940 000 (ცხრაას ორმოცი ათასი) ლარისა;

ჭ) ცაგერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 380 000 (სამას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ხ) ბორჯომის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარისა;

ჯ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 715 000 (ერთი მილიონ შვიდას თხუთმეტი ათასი) ლარისა;

ჰ) საჩხერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 140 000 (ას ორმოცი ათასი) ლარისა;

ჰ[1]) წალკის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 55 000 (ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ჰ[2]) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 960 000 (ერთი მილიონ ცხრაას სამოცი ათასი) ლარისა;

ჰ[3]) ყვარლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 190 000 (ერთი მილიონ ას ოთხმოცდაათი ათასი) ლარისა;

ჰ[4]) სიღნაღის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა;

ჰ[5]) გურჯაანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 230 000 (ორას ოცდაათი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**